

შპს Habibco Agricultural ჯგუფის (ს/კ 404964277)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

შინაარსი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	3
ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	4
ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	8
ძირითადი საშუალებები	8
მარაგები	9
აქტივების გაუფასურება	9
ფინანსური აქტივები	10
ფინანსური ვალდებულებები	10
ამონაგების აღიარება	11
ხარჯების აღიარება	11
საინვესტიციო ქონება	11
გუდვილი	11
მოგების გადასახადი	12
დღგ	12
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	13
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
7. მარაგები	14
8. სხვა მიმდინარე აქტივები	14
9. ძირითადი საშუალებები	15
10. ბიოლოგიური აქტივები	16
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
12. ამონაგები	16
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16
14. სხვა ხარჯები	16
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
16. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	17

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2023წ.	31.12.2023წ.	31.12.2023წ.	31.12.2023წ.	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები						
მოკლევადიანი აქტივები						
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5 3,893		188,429		3,893	399,443
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16 49,303		2,287,141		1,749,303	1,090,149
მარაგები	17 41,475	1,651,213	1,651,213		1,941,475	2,315,411
სხვა მიმდინარე აქტივები	8	11,683	11,683		-	116,011
	3,594,671	4,128,466	4,128,466		3,694,671	3,921,014
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	19 30,906	1,371,795	1,371,795		1,430,906	1,482,532
ბიოლოგიური აქტივი	20 21,909	731,301	731,301		2,021,909	-
საინვესტიციო ქონება, რომელიც ასახულია						
თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და						
დაგროვილი გაუფასურების ზარალის	21 12,525	1,812,525	1,812,525		1,812,525	1,812,525
გამოკლების						
შედეგად მიღებული თანხით						
არამატერიალური აქტივები გარდა გუდვილისა						
გუდვილი						114
	3,515,620	5,265,341	5,265,341		5,265,341	215,870
მთლიანი აქტივები	8,044,087	8,960,011	8,044,087		8,960,011	7,432,055
ვალდებულებები და კაპიტალი						
მოკლევადიანი ვალდებულებები						
მოკლევადიანი სესხი	10 006,895	10,006,895	10,006,895		10,006,895	10,045,487
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11 57,629	526,394	526,394		857,629	118,099
საგადასახადო ვალდებულებები	22 9,924	395,519	395,519		349,519	372,530

დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება		127,227	127,227	286,936
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	1,798	5,558
		11,056,440	11,343,068	10,828,610
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		11,150	11,150	11,150
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,023,503)	(2,394,207)	(3,407,705)
		(3,012,353)	(2,383,057)	(3,396,555)
მთლიანი ვალდებულებები		11,056,440	11,343,068	10,828,610
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		8,044,087	8,960,011	7,432,055

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

მ. შავიძე.....

მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



შპს Habibco Agricultural ჯგუფის (ს/კ 404964277)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2022წ.
ამონაგები	12	2,823,047	3,404,404
თვითღირებულება		(2,763,212)	(1,614,381)
საერთო მოგება		59,835	1,790,023
სხვა შემოსავლები		2,200	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(291,881)	(137,521)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი		(123,305)	(125,813)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(59,112)	(276,425)
სხვა ხარჯები	14	(217,033)	(236,027)
საოპერაციო მოგება		(629,296)	1,014,237
მოგება დაზევგრამდე		-	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(629,296)	1,014,237
მთლიანი სრული შემოსავალი		(629,296)	1,014,237

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....
მ. შავიძე

მანია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების



შპს Habibco Agricultural ჯგუფი (ს/კ 404964277)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	11,150.00	-	(3,407,705)	(3,396,556)
მოგება ან ზარალი	-	-	1,014,237	1,014,237
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	11,150	-	(2,393,467)	(2,382,317)
სხვა ცვლილება	-	-	(740)	(740)
2022 წლის 31 დეკემბერი	11,150	-	(2,394,207)	(2,383,057)
მოგება ან ზარალი	-	-	(629,296)	(629,296)
პერიოდის სრული შემოსავალი	11,150	-	(3,023,503)	(3,012,353)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	11,150	-	(3,023,503)	(3,012,353)

გამოსაშვებად დაამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....
მ. შავიძე

მანია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



შპს Habibco Agricultural ჯგუფის (ს/კ 404964277)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,629,895	3,637,966
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები (ბანკის საკომისიო)	(2,259,892)	(3,905,582)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(88,545)	(101,593)
გადახდილი გადასახადები	(96,922)	21,761
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	184,536	(347,448)
გადახდილი მოგების გადასახადი (დივიდენდთან დაკავშირებული)	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	184,536	(347,448)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
საფინანსო საქმიანობა		
სესხის ძირის გადახდა	-	(48,102)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	(48,102)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	184,536	(395,550)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	3,893	399,443
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	188,429	3,893

გამოსამზებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

მ. შავჭი

მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	188,429	3,893	399,443
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2,287,141	1,749,303	1,090,149
მარაგები	7	1,651,213	1,941,475	2,315,411
სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,683	-	116,011
		4,128,466	3,694,671	3,921,014
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	1,371,795	1,430,906	1,482,532
ბიოლოგიური აქტივი	10	731,301	2,021,909	-
საინვესტიციო ქონება, რომელიც ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით		1,812,525	1,812,525	1,812,525
არამატერიალური აქტივები გარდა გუდვილისა		-	-	114
გუდვილი		-	-	215,870
		3,915,620	5,265,341	3,511,041
მთლიანი აქტივები		8,044,087	8,960,011	7,432,055
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი		10,006,895	10,006,895	10,045,487
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	526,394	857,629	118,099
საგადასახადო ვალდებულებები		395,924	349,519	372,530
დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება		127,227	127,227	286,936
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	1,798	5,558
		11,056,440	11,343,068	10,828,610
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		11,150	11,150	11,150
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,023,503)	(2,394,207)	(3,407,705)
		(3,012,353)	(2,383,057)	(3,396,555)
მთლიანი ვალდებულებები		11,056,440	11,343,068	10,828,610
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		8,044,087	8,960,011	7,432,055

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....
მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2022წ.
ამონაგები	12	2,823,047	3,404,404
თვითღირებულება		(2,763,212)	(1,614,381)
საერთო მოგება		59,835	1,790,023
სხვა შემოსავლები		2,200	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(291,881)	(137,521)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი		(123,305)	(125,813)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(59,112)	(276,425)
სხვა ხარჯები	14	(217,033)	(236,027)
საოპერაციო მოგება		(629,296)	1,014,237
მოგება დაბეგვრამდე		-	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(629,296)	1,014,237
მთლიანი სრული შემოსავალი		(629,296)	1,014,237

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....
მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს Habibco Agricultural ჯგუფის (ს/კ 404964277)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	11,150.00	-	(3,407,705)	(3,396,556)
მოგება ან ზარალი	-	-	1,014,237	1,014,237
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	11,150	-	(2,393,467)	(2,382,317)
სხვა ცვლილება	-	-	(740)	(740)
2022 წლის 31 დეკემბერი	11,150	-	(2,394,207)	(2,383,057)
მოგება ან ზარალი	-	-	(629,296)	(629,296)
პერიოდის სრული შემოსავალი	11,150	-	(3,023,503)	(3,012,353)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	11,150	-	(3,023,503)	(3,012,353)

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....

მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,629,895	3,637,966
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები (ბანკის საკომისიო)	(2,259,892)	(3,905,582)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(88,545)	(101,593)
გადახდილი გადასახადები	(96,922)	21,761
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	184,536	(347,448)
გადახდილი მოგების გადასახადი (დივიდენდთან დაკავშირებული)	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	184,536	(347,448)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
საფინანსო საქმიანობა		
სესხის ძირის გადახდა	-	(48,102)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	(48,102)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	184,536	(395,550)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	3,893	399,443
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	188,429	3,893

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს Habibco Agricultural სახელით 2025 წლის 30 აპრილს

.....
მაია შავიძე

შპს Habibco Agricultural მინდობილი პირი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Habibco Agricultural (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 15 ნოემბერს.

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: სამეჭ რეთაატ ავად ჰაბიბი, ეგვიპტე-20%, რანია რეთათ ავად ჰაბიბი, ეგვიპტე-20%, რეთაატ ავად ჰაბიბი მაჰარ , ეგვიპტე-40% და მარიამ ბოქტორ თავლა ბოქტორ , ეგვიპტე-20%. მისი დირექტორები არიან სამეჭ რეთაატ ავად ჰაბიბი, ეგვიპტე და რეთაატ ავად ჰაბიბი მაჰარ , ეგვიპტე.

შპს Habibco Agricultural თავად არის 100%-იანი წილის მფლობელი შპს აგრო-ვესტის, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წლის 24 მაისს.

შვილობილი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვა მარცვლეული (ბრინჯის გარდა), ჰარვოსანი და ზეთოვანი კულტურების მოყვანა, კერძოდ, მოვლევადიანი კულტურების მოყვანა, მათ შორის ხორბლისა და ქერის და მათი შემდგომი რეალიზაცია, ხოლო თავად კომპანიის საქმიანობაა მიწის ფართობის იჯარით გადაცემა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №53 "ა", ბ. 24, ხოლო ფაქტობრივი მისამართია ბოლნისი.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაექტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, “მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორის სხვაობიდან”.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. 2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ ქონია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. მიწას გააჩნია განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობა-ნაგებობას ცვეთა ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	-
შენობა-ნაგებობები	10-30
მანქანა-დანადგარები	8-10

ავეჯი და სხვა ინვენტარი
სატრანსპორტო საშუალებები

8-10
8-15

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება თავდაპირველად ხდება რეალურ ღირებულებას გამოვლენილი გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯები, ნაყოფის მიღების მომენტში. ამგვარი შეფასებით მიღებული სიდიდე წარმოადგენს თვითღირებულებას იმ თარიღისთვის, როდესაც კომპანია იწყებს წინამდებარე სტანდარტის მე-13 განყოფილების - „მარაგები“ ან სხვა შესაფერისი განყოფილების გამოყენებას. მარაგის შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოვლენილი აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადებსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიუთვნიებელ დანახარჯებს.

მარაგების ჩამოწრა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების. მეთოდის გამოყენებით. ვინაიდან კომპანიის მარაგს ძირითადად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მის თვითღირებულებაში შეიტანება მოსავლის აღებამდე არსებული ყველა ხარჯი, ხოლო მოსავლის აღებისთვის საჭირო დანახარჯები პირდაპირ ხარჯად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების

შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმწიფო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და საბანკო ანგარიშზე.

ძირითადად მომსახურება ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმწიფო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია.

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

2023 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმწიფო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს სხვა დაკავშირებული მხარეებიდან აღებულ სესხს რომელიც დენომინირებულია ლარში. აღნიშნული სესხი წარმოადგენს მოკლევადიანს, ვინაიდან იგი დაფარვადია მოთხოვნისთანავე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის რეალიზაციით, მომსახურების გაწევით და იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაყრბლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე.

მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელების სერიის მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

კომპანიას საოპერაციო იჯარის სახით გადაცემული აქვს მის საკუთრებული არსებული მიწის ნაკვეთები. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარიდან მიღებული შემოსავლები კომპანიის, როგორც მეიჯარის მიერ აღიარებულია მოგებასა და ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა შესაკუთრებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონების სახით ფლობს ბოლნისში განლაგებულ 1,812,525 ლარის ღირ-ბის მიწის ნაკვეთებს, რომლებიც საოპერაციო იჯარის სახით გადაცემული აქვს მესამე მხარეებზე. საინვესტიციო ქონება ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

გუდვილი

კომპანიის მიერ შვილობილი საწარმოს შეძენა განხორციელდა 2013 წლის 11 იანვარს, რომლის შედეგად წარმომოხილი 2,158,696 ლარის გუდვილის ამორტიზირება მოხდა 10 წლის განმავლობაში და 2023 წლისთვის იგი სრულად ამორტიზირებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით. 2022-2023 წლებში არ მომხდარა კომპანიის მიერ დივიდენდის გამოცხადება ან გაცემა.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად,

კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით განტავისუფლებულია საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება მის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე).

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	143	7
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	188,286	3,886
სულ	188,429	3,893

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	49,499	44,500
გადახდილი ავანსები	2,237,643	1,704,802
სულ	2,287,141	1,749,303

კომპანიას არ უღიარებია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2023 წელს.

7. მარაგები

	2023	2022
საქონელი	1,639,876	1,916,136
ნედლეული და მასალა	11,337	25,339
სულ	1,651,213	1,941,475

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ 2 763 212 ლარი (2022 წელს 1 614 381 ლარი). 2023 წელს მარაგების გაუფასურება არ მომხდარა.

საქონელი მოიცავს გასაყიდად განუთვნილ ხორბლის მოსავალს.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022
ზედმეტად გადახდილი საპენსიო შენატანი	1,683	-
სულ	1,683	-

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	788,124	933,729	121,497	24,950	9,510	1,877,811
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა/გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	788,124	933,729	121,497	24,950	9,510	1,877,811
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	-	(364,253)	(72,110)	(8,659)	(1,882)	(446,905)
პერიოდის ცვეთა	-	(46,721)	(8,712)	(2,489)	(1,189)	(59,112)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა/გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(410,975)	(80,822)	(11,149)	(3,071)	(506,017)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	788,124	569,476	49,387	16,291	7,628	1,430,906
31 დეკემბერი 2023	788,124	522,754	40,675	13,802	6,439	1,371,795

10. ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივი მოიცავს ხორბალს და ანეულის დამუშავებას. ხორბლის თვითღირებულებაში შეიყვანება მოხვნის, დისკის, თესვის, თესლის რაოდენობის, თესლის შეწამვლის, სასუქისა და ჰერბიციდის შეტანის, მზამქიმიატებისა და საწვავის შესაბამისი დანახარჯები. მოსავლის აღებისას გაწეული დანახარჯები აღირიცხება ხარჯის სახით მოგება-ზარალში.

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	194,151	183,651
მიღებული ავანსები	332,243	673,978
სულ	526,394	857,629

12. ამონაგები

	2023	2022
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	50,681	82,754
საქონელის რეალიზაცია	2 772 366	3 321 650
სულ	2,823,047	3,404,404

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	148,726	6,435
საიჯარო ქირა	-	5,817
რემონტის ხარჯი	3,860	5,279
საწვავის ხარჯები	12,421	12,103
საკონსულტაციო ხარჯები	161	-
მოსავლის აღების ხარჯი	121,977	104,760
საწარმოო ხარჯები	806	2,028
ბანკის მომსახურება	717	881
სხვა ხარჯი	3,213	218
სულ	291,881	137,521

14. სხვა ხარჯები

	2023	2022
ქონების გადასახადი	151,033	157,653
სხვა ხარჯი	65,999	78,375
სულ	217,033	236,027

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2023	2022
სასესხო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი		
სხვა დაკავშირებული მხარე	10,006,895	10,006,895
სულ	10,006,895	10,006,895

16. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.